








ნინო ჭიბუძი, გვანცა იჩაიტი



# საქართველოში ახალგაზრდების შიდა მიგრაცია სამთავალაქო და კოლთიკური აქტივიზმის ჭრილში



ევროკავშირი  
საქართველოსთვის  
Project funded by the European Union



EaP | Eastern Partnership

თბილისი, 2022

## ავტორების შესახებ

### ნინო ჭიბუძი - მკვლევარი

ნინო არის საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტში (GIP) USAID-ის პროექტის „ცვლილებებზე ორიენტირებული ახალგაზრდების ხელშეწყობა საქართველოში“ კოორდინატორი. 2020-2021 წლებში ნინო ორგანიზაციაში პარალელურად სხვადასხვა უცხოური დონორის დაფინანსებულ პროექტს ხელმძღვანელობდა. ამჟამად, იგი იკვლევს რეგიონული განვითარებისა და ახალგაზრდების შიდა მიგრაციის გამომწვევ მიზეზებს. ნინომ 2012-2016 წლებში მოიპოვა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ბაკალავრის ხარისხი ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ბილატერალური გაცვლითი პროგრამის სტიპენდიით სწავლობდა პრადის ჩარლზის უნივერსიტეტში სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე და 2019 წელს მიიღო მაგისტრის ხარისხი სოციალური პოლიტიკის მიმართულებით. მისი ინტერესის სფეროს წარმოადგენს: კარგი მმართველობა, მოწყვლადი ჯგუფების გაძლიერება და ურბანული განვითარების პოლიტიკა.

### გვანცა იჩიითი - ასისტენტი-მკვლევარი

გვანცა არის საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის (GIP) პროექტის კოორდინატორი. ის ფლობს შპაიერის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საჯარო ადმინისტრირების საერთო პროგრამის მაგისტრის ხარისხს. მანამდე გვანცამ დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერების ბაკალავრიატი, რომელზე სწავლის დროსაც აკადემიური სემესტრი გაატარა პრადის ჩარლზის უნივერსიტეტში (ჩეხეთის რესპუბლიკა). მას უმუშავია სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციაში, როგორც საქართველოში, ისე – საზღვარგარეთ. გვანცას უახლესი სამუშაო გამოცდილება უკავშირდება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტს. მისი ინტერესის სფეროს წარმოადგენს: გენდერული თანასწორობის პოლიტიკა, ადგილობრივი თვითმმართველობის პრინციპები, ახალგაზრდების გაძლიერება, გარემოს დაცვა და მდგრადი განვითარება.

*წინამდებარე პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელი არიან ავტორები და შესაძლოა არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.*



ავტორების შესახებ.....	01
მოკლე მიმოხილვა .....	03
სამიზნე აუდიტორია .....	04
მეთოდოლოგია .....	04
კვლევის შეზღუდვები .....	05
მთავარი მიგნებები .....	06
ახალგაზრდების გამოწვევები .....	06
ახალგაზრდების შიდა მიგრაცია .....	07
ახალგაზრდების სამოქალაქო და პოლიტიკური აქტივიზმი.....	07
სექტორთშორისი თანამშრომლობა .....	08
შესავალი .....	09
კვლევის შედეგები .....	11
ახალგაზრდების გამოწვევები რეგიონულ ქრილში.....	14
სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი .....	14
იმერეთის რეგიონი .....	15
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა.....	15
შიდა ქართლის რეგიონი .....	16
ქვემო ქართლის რეგიონი .....	16
ახალგაზრდების შიდა მიგრაცია .....	17
სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი .....	17
იმერეთის რეგიონი .....	18
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა .....	18
შიდა ქართლის რეგიონი.....	19
ქვემო ქართლის რეგიონი.....	19
სამოქალაქო და პოლიტიკური აქტივიზმის განმარტებები	
ახალგაზრდების ხედვა .....	19
ახალგაზრდების თვალთ დანახული სამოქალაქო აქტივიზმი.....	20
სექტორთშორისი თანამშრომლობა.....	21
სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი .....	21
იმერეთის რეგიონი.....	22
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა .....	23
შიდა ქართლის რეგიონი.....	24
ქვემო ქართლის რეგიონი.....	24
დასკვნა.....	25
რეკომენდაციები.....	25
ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის.....	25
სამოქალაქო საზოგადოების .....	26
კერძო სექტორისთვის.....	26
დონორებისთვის.....	26
ბიბლიოგრაფია.....	28

## მოკლე მიმოხილვა

დედაქალაქის მოსახლეობა იზრდება რეგიონების დაცარიელების ხარჯზე. არსებული სტატისტიკური მონაცემები კარგად ასახავს იმ რთული ვითარებას, რომელიც საქართველოში ბოლო წლებშია – საქართველოს მოსახლეობა სტაბილურად მცირდება (საქსტატი, 2022). იგივე ტენდენცია შეიმჩნევა რეგიონულ ქრისტიანულ მონაცემების მიხედვით, 2018 წელს იმერეთის მოსახლეობა 507,000 იყო, ხოლო 2022 წელს 466,600 ადამიანს შეადგენს. ასევე, სამეგრელო-ზემო სვანეთის მოსახლეობა 2018 წელს 320,800 იყო, ხოლო 2022 წლის აღწერით, ეს რიცხვი 301,200-მდე შემცირდა. საპირისპირო ვითარებაა დედაქალაქის მოსახლეობის ანალიზისას: 2018 წლიდან 2022 წლის იანვრის ჩათვლით, თბილისის მოსახლეობა 43,100 ადამიანით გაიზარდა (საქსტატი, 2022). ახალგაზრდების რეგიონსა და ქვეყანაში დარჩენის ერთ-ერთ საშუალებად ითვლება სწორი ურბანული პოლიტიკის დაგეგმვა, რაც გულისხმობს ახალგაზრდების სამოქალაქო და პოლიტიკური აქტივიზმის წახალისებას ადგილობრივ დონეზე. ამდენად, მნიშვნელოვანია, ორივე ცნება განვიხილოთ, ახალგაზრდების შესაძლებლობის განვითარების კონტექსტში. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს საბჭოთა წარსული და დაბალი სამოქალაქო აქტივიზმის გამოცდილება აქვს, ქართულ საზოგადოებას თვითორგანიზება აკლია. საქართველოში ჯერ კიდევ არსებობს მენტალური, სოციალური და პოლიტიკური ბარიერები, რომლებიც ხელს უშლის სამოქალაქო აქტივიზმის წახალისებას. აქტივიზმის კვლევის მიმართულებით საქართველოში სტატისტიკური ინფორმაცია ფაქტობრივად არ არსებობს, არსებული კვლევები საკმაოდ მოძველებულია და კვლევების განხორციელების შემდეგ კონტექსტი, სავარაუდოდ, შეცვლილია, თუმცა მაგალითისთვის შესაძლებელია 2017 წელს ევროკავშირის დაფინანსებით ჩატარებული კვლევის „სამოქალაქო აქტივიზმის მნიშვნელობა საქართველოს სტუდენტებისათვის“ განხილვა (ბეჟანიშვილი და სხვ., 2017). კვლევაში მონაწილე 420 რესპონდენტის 42.6%-ს საერთოდ არ განუხორციელებია სათემო აქტივობა, ხოლო 23% მსგავს აქტივობებში მონაწილეობდა ბოლო ერთი წლის განმავლობაში. აღნიშნულ კვლევაში ასევე გამოიკვეთა, რომ მამრობითი სქესის რესპონდენტების რიცხვი, რომლებიც მონაწილეობდნენ სამოქალაქო აქტივიზმში, ორჯერ მეტია მდედრობითი სქესის რესპონდენტების რიცხვზე. მეორე კვლევა, რომელიც ამ საკითხს შეეხება, ფრიდრიხ ებერტის ფონდის ასევე 2017 წელს გამოქვეყნებული პუბლიკაციაა „თაობა გარდამავალ პერიოდში“. კვლევის ჩატარების პერიოდში გამოკითხული რესპონდენტების 45% დაინტერესებული იყო საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესებით. მონაცემების მიხედვით, ახალგაზრდების ნიჰილისტური დამოკიდებულებები პოლიტიკური საკითხების მიმართ შეიძლება გამოწვეული იყოს იმ მოსაზრებით, რომ ისინი ფიქრობენ, რომ „მათი ინტერესები ან არ არის საკმარისად ან საერთოდ არა არის წარმოდგენილი დღევანდელ პოლიტიკაში“. გამოკითხულთა ძალიან ცოტა – მხოლოდ 2% მიიჩნევს, რომ ახალგაზრდების ინტერესები პოლიტიკურ დღის წესრიგში მნიშვნელოვნადაა გათვალისწინებული (ფრიდრიხ ებერტის ფონდი, 2017)

წინამდებარე ანგარიში საშუალებას იძლევა, ხუთ სამიზნე რეგიონში – იმერეთში, სამეგრელო-ზემო სვანეთში, აჭარაში, შიდა და ქვემო ქართლში – შეფასდეს 18-35 ასაკობრივი კატეგორიის ახალგაზრდების სამოქალაქო და პოლიტიკური აქტივიზმის დონე და რეგიონებში სექტორთშორისი თანამშრომლობის პერსპექტივები. ასევე, კვლევა წარმოადგენს მცდელობას, გააანალიზოს ის მთავარი მიზეზები, რომლებიც ახალგაზრდებს უბიძგებს რეგიონების დატოვებისკენ და განიხილოს შიდა მიგრაციის პოტენციური შემცირების გზები.

## სამიზნე აუდიტორია

აღნიშნული კვლევის სამიზნე აუდიტორია არის სამეგრელო-ზემო სვანეთის, იმერეთის, აჭარის, შიდა და ქვემო ქართლის ადგილობრივი თვითმმართველობები, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, კერძო სექტორი დონორები და ახალგაზრდები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან ახალგაზრდების სამოქალაქო და პოლიტიკური აქტივიზმით, სექტორთაშორისი თანამშრომლობისა და შიდა მიგრაციის საკითხებით. ერთი მხრივ, ანგარიში დაეხმარება ადგილობრივ თვითმმართველობებს მიიღონ კონსტრუქციული უკუკავშირი, გახდნენ მეტად ანგარიშვალდებულნი და შესთავაზონ ახალგაზრდებს მათზე ორიენტირებული პროგრამები. მეორე მხრივ, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის ანგარიში წარმოადგენს შესაძლებლობას, ხაზი გაესვას პრობლემურ საკითხებსა და რეკომენდაციებს, რათა დაიგეგმოს მოქალაქეზე ორიენტირებული პოლიტიკა. ამასთანავე, ამასთანავე, ანგარიშში წარმოდგენილია რეკომენდაციები კერძო სექტორისთვის და არის ერთგვარი საშუალება ახალგაზრდებმა მნიშვნელოვანი საკითხები გააცნონ ფართო აუდიტორიას.

## მეთოდოლოგია

საკითხის შესწავლის მიზნით ჩატარდა თვისებრივი კვლევა, რომელიც შემდეგ კომპონენტებს გულისხმობდა:

- ▶ ახალგაზრდების მონაწილეობით ფოკუსჯგუფები კვლევის სამიზნე რეგიონებში;
- ▶ საკვლევ რეგიონებში სამოქალაქო და სამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან ჩალრმაგებული ინტერვიუები;
- ▶ ნარატიული ანალიზი.

## ფოკუსჯგუფი

ფოკუსჯგუფების სტრუქტურა ეყრდნობოდა წინასწარ მომზადებულ კითხვარს, რომელსაც უძღვებოდა მოდერატორი შემუშავებული სადისკუსიო გეგმის მიხედვით. გეგმა 15-მდე ღია კითხვას აერთიანებდა და დაყოფილი იყო სამ ძირითად ბლოკად. კერძოდ, პირველი ბლოკი ეძღვნებოდა ახალგაზრდების მიერ სამოქალაქო და პოლიტიკური აქტივიზმის ცნებების განსაზღვრას, მეორე ბლოკი – სექტორთაშორისი თანამშრომლობის საკითხსა და საუკეთესო პრაქტიკებს, ხოლო მესამე ბლოკი – ახალგაზრდების შიდა მიგრაციის მიზეზებსა და პრობლემების გადაჭრის გზებს.

საერთო ჯამში, ჩატარდა 16 ფოკუსჯგუფის შეხვედრა, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო 83-მა (18-35 ასაკობრივი ჯგუფი) ახალგაზრდამ. თითოეულ ფოკუსჯგუფში მონაწილეების რაოდენობა არ აღემატებოდა 6 მონაწილეს. რეგიონული დაყოფა მონაწილეების რაოდენობრივ და გენდერულ ქრილში ასე გამოიყურება:

რეგიონი	მონაწილეთა საერთო რაოდენობა
აჭარა	13 (8 ქალი/5 კაცი)
იმერეთი	16 (11 ქალი/5 კაცი)
სამეგრელო-ზემო სვანეთი	17 (11 ქალი/6 კაცი)
შიდა ქართლი	14 (10 ქალი/4 კაცი)
ქვემო ქართლი	12 (8 ქალი/4 კაცი)

რესპონდენტების თანხმობით, შემდგომი ანალიზის მიზნით ჩაიწერა შეხვედრა, აუდიოჩანაწერი გაიშიფრა და ტექსტის სახე მიიღო. საბოლოოდ, მიღებული პირველადი მონაცემები დამუშავდა თემატურად.

### ჩაღრმავებული ინტერვიუ

სამიზნე რეგიონების ადგილობრივი ხელისუფლებისა და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან ჩატარდა 12 ინტერვიუ, აქედან 5 ინტერვიუ – სამთავრობო, ხოლო 7 – არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან. თითოეულ რეგიონში კვლევა განხორციელდა ერთ კონკრეტულ ქალაქში: ბათუმში, ქუთაისში, მესტიაში, ზუგდიდში, გორში, რუსთავსა და თბილისში. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები შემდეგი კრიტერიუმებით შეირჩა: ორგანიზაციებს უნდა ჰქონოდათ ადგილობრივ დონეზე ახალგაზრდულ საკითხებსა და მათ ადვოკატირებაზე მუშაობისა და ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობის მინიმუმ ხუთწლიანი გამოცდილება .

### ნარატიული ანალიზი

ექსპერტთა გამოკითხვას თვისებრივი კონტენტ ანალიზი ავსებს, რომელიც გულისხმობს პირველადი და მეორადი წყაროების (სახელმწიფო დოკუმენტები, ანგარიშები, ინტერვიუები) შინაარსის ანალიზს. კვლევის პირველ ეტაპზე ჩატარდა სამაგიდე კვლევა სამოქალაქო აქტივიზმისა და შიდა მიგრაციის შესახებ თეორიული და ემპირიული ცოდნის მისაღებად. ამისათვის შესწავლილი იქნა, როგორც ქართული, ისე უცხოენოვანი ლიტერატურა. საბოლოოდ, ანგარიშმა გააერთიანა შეფასებები, მათი განხილვის გარეშე.

## კვლევის შეზღუდვები

### მასალის სიმცირე

კვლევის წარმოებისას ერთ-ერთ მნიშვნელოვან შეზღუდვას წარმოადგენდა საკვლევის საკითხზე უშუალოდ საქართველოს გამოცდილების შესახებ ლიტერატურის სიმცირე. სამაგიდე კვლევისთვის გამოყენებულია სხვადასხვა ორგანიზაციის მიერ სხვადასხვა დროს ჩატარებული კვლევა, რაც ართულებს რეგიონული კონტექსტის ერთიანი კრიტერიუმების მიხედვით გაანალიზების შესაძლებლობას. ასევე, არსებული კვლევები საკმაოდ მოძველებულია და ნაკლებად ასახავს რეალურ სურათს.

### რეპრეზენტაციულობა

ფოკუსჯგუფებში მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა რეგიონის 104-მა წარმომადგენელმა, რაც რეგიონული განზოგადების საშუალებას არ იძლევა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ერთ რეგიონში ჩატარებულ რამდენიმე ფოკუსჯგუფში, ხშირად მეორდებოდა პასუხები, რაც ზოგადი ჩარჩოს დანახვის საშუალებას იძლევა. მონაცემების სატურაციიდან გამომდინარე, კვლევა შეწყდა თექვსმეტი ფოკუსჯგუფის ჩატარების შემდეგ.

გამომდინარე იქიდან, რომ კვლევაში მონაწილე ახალგაზრდები თავიანთ რეგიონებში საზოგადოების აქტიურ და მოტივირებულ ნაწილს წარმოადგენენ, შედეგების განზოგადება არ არის მართებული რეგიონულ ქრისტში.

რეპრეზენტაციულობის კუთხით ასევე აღსანიშნავია ის, რომ კონკრეტულ რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდების მიერ მოწოდებული ინფორმაცია კონკრეტული ქალაქის რეალობას ასახავს, ხოლო რეგიონში არსებული ზოგადი სიტუაცია შესაძლოა განსხვავებული იყოს. მართალია, კვლევაში, მაგალითების სახით, კონკრეტული ქალაქები განხილული, მაგრამ მონაწილეები სხვადასხვა მუნიციპალიტეტებისა და ადგილობრივი თემის წარმომადგენლები იყვნენ.

## არაზუსტი სტატისტიკა

საქართველოში მიმდინარე მიგრაციული პროცესების ანალიზის დროს, სირთულეს წარმოადგენს შიდა მიგრაციის ზუსტი სტატისტიკის არარსებობა. ქვეყანაში ყოველწლიურად იცვლება მოსახლეობის რაოდენობა, თუმცა შიდა მიგრაციის მაჩვენებელი, მითუმეტეს ასაკობრივ ჭრილში, არ არსებობს.

## მთავარი მიზნები

### ახალგაზრდების გამოწვევები

- ▶ სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში ახალგაზრდების გამოწვევად რჩება ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან ქვემოდან ზემოთ მართვისა და მონაწილეობის პრინციპის ნაკლებად გამოყენება.
- ▶ ინფრასტრუქტურული პრობლემები დაბრკოლებას უქმნის სამეგრელო-ზემო-სვანეთის რეგიონში ახალგაზრდების აქტიურობას. ამასთან, ხარისხიან განათლებაზე წვდომა და არაფორმალური განათლების აქტივობებში ჩართულობა დაბალია.
- ▶ იმერეთში ადგილობრივი ხელისუფლების მიერ შერჩეული პრიორიტეტული მიმართულებები არ თანხვდება ახალგაზრდების რეალურ საჭიროებებსა და სურვილებს. ერთ-ერთი ძირითადი დამაბრკოლებელი ფაქტორია ახალგაზრდული სივრცეების არარსებობა და რესურსების სიმწირე.
- ▶ აჭარაში ყველაზე დიდ პრობლემას გაუმართავი ინფრასტრუქტურა და, შესაბამისად, შეზღუდული მობილობა წარმოადგენს. ხშირია შემთხვევები, როდესაც სოფლის მოსახლეობას საბაზისო საჭიროებები არ აქვს დაკმაყოფილებული. ამასთან, ინტერნეტი ყველა რაიონში არ არის ხელმისაწვდომი ან ფუფუნების საგანს წარმოადგენს.
- ▶ აჭარაში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის ერთ-ერთი გამოწვევა ერთჯერადი ხასიათის და მდგრად შედეგებზე ნაკლებად ორიენტირებული აქტივობებია. ამასთან, ხშირ შემთხვევაში ადგილობრივ საჭიროებებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები ადგილობრივად არ მიიღება, რაც ახალგაზრდებსა და გადაწყვეტილების მიმღებ პირებს შორის უნდობლობას იწვევს.
- ▶ საყურადღებო გამოწვევად რჩება საზოგადოების მენტალობა და გენდერული სტერეოტიპები. ხშირია შემთხვევები, როდესაც გოგონებს ოჯახის წევრები არ უშვებენ ტრენინგებზე, მით უმეტეს, თუ აქტივობა სხვა ქალაქში არის დაგეგმილი.
- ▶ შიდა ქართლის რეგიონში რესპონდენტების მიერ ყველაზე მწვავე გამოწვევად ადგილზე დასაქმების საკითხი დასახელდა. შეუსაბამო ხელფასი, სამუშაო ადგილების არარსებობა და პოტენციალის რეალიზების შეუძლებლობა იწვევს იმას, რომ ახალგაზრდები აღარ რჩებიან რეგიონში.
- ▶ ქვემო ქართლის დედაქალაქთან სიახლოვე, ერთი მხრივ, ახალგაზრდებს თითქოს მეტ შესაძლებლობას სთავაზობს, თუმცა, მეორე მხრივ, იწვევს იმას, რომ ადგილობრივად ნაკლები აქტივობა ხორციელდება.
- ▶ რუსთავს გამორჩეულად ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება და აქტივისტები ჰყავს, რომლებიც ეკოლოგიური საკითხების ადვოკატირების მიზნით წლის განმავლობაში სხვადასხვა სექტორის დახმარებით არაერთ აქტივობას გეგმავენ და ახორციელებენ.

## ახალგაზრდების შიდა მიგრაცია

- ▶ აჭარის რეგიონში შიდა მიგრაციის ერთ-ერთი მიზეზი დაბალი ხარისხის განათლება წარმოადგენს. მაღალმთიანი დასახლებებისთვის გაუმართავი კომუნიკაცია და ინფრასტრუქტურა აფერხებს ახალგაზრდებისთვის სხვადასხვა სიკეთეებზე წვდომას, რაც მათ კონსტიტუციურ უფლებას ართმევს მიიღონ განათლება და ჰქონდეთ წვდომა რესურსებზე.
- ▶ საერთაშორისო დონორები თუ ადგილობრივი ორგანიზაციები ახორციელებენ ინიციატივებს, რომელიც თანხვედრაში არ მოდის მოსახლეობის რეალურ საჭიროებასთან.
- ▶ სამეგრელოში, ახალგაზრდების თქმით, დიდ პრობლემას წარმოადგენს დაბალი ხარისხის განათლება, ახალგაზრდული სივრცეების ნაკლებობა, ახალგაზრდული შემეცნებით-საგანმანათლებლო აქტივობები და სტერეოტიპული დამოკიდებულებები.
- ▶ ზემო სვანეთში მართალია მიგრაცია დიდი ქალაქებისკენ აქტუალურია, თუმცა აქ, განსხვავებით სხვა რეგიონებისგან, უკუმიგრაციის საღდო დადებითია, რაც შესაძლოა განპირობებული იყოს სვანეთში ტურისტული სექტორის განვითარებით გაჩენილი შესაძლებლობებით.
- ▶ იმერეთის რეგიონში შიდა მიგრაციის განმაპირობებელი მიზეზები ძირითადად სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებს უკავშირდება. სამუშაო ადგილების რესურსებსა თუ შესაძლებლობებზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობა უბიძგებს ახალგაზრდებს უკეთესი შრომითი პირობებისა და შემოსავლის მიღების მიზნით დედაქალაქში გადავიდნენ.
- ▶ შიდა ქართლის რეგიონში გამოწვევას წარმოადგენს ინფრასტრუქტურა - გზები, მუნიციპალური ტრანსპორტი. დედაქალაქთან სიახლოვე ერთი მხრივ, პოზიტიურ მოვლენად შეგვიძლია განვიხილოთ, რადგან შესაძლებლობას აჩენს ადგილობრივებისათვის დასაქმდნენ, თუმცა, ამავდროულად ადგილობრივად რეგიონიდან კადრების გადინებას იწვევს.
- ▶ ქვემო ქართლის რეგიონის მთავარ გამოწვევას წარმოადგენს ქანქარისებური მიგრაცია, რაც დედაქალაქთან სიახლოვეთ არის განპირობებული. ადგილობრივი ახალგაზრდებისთვის სირთულეს წარმოადგენს გაუმართავი მუნიციპალური ტრანსპორტი და შესაძლებლობები, რომელიც მათ ადგილობრივად არ აქვთ.

## ახალგაზრდების სამოქალაქო და პოლიტიკური აქტივიზმი

- ▶ გამოკითხული ახალგაზრდების აქტივიზმის დონე დაბალია, რაც უმეტესწილად ნიჰილისტური დამოკიდებულებებით არის გამოწვეული. ახალგაზრდებს არ აქვთ განცდა, რომ მათი ჩართულობა რეალურ შედეგს გამოიღებს. შესაბამისად, აქტივიზმი მათთვის ნაკლებად პრიორიტეტულია.
- ▶ განსხვავდება დამოკიდებულებები სამოქალაქო და პოლიტიკური აქტივიზმის მიმართ. როგორც რესპონდენტების პასუხებიდან ჩანს, ახალგაზრდები შედარებით სკეპტიკურად არიან განწყობილნი პოლიტიკური აქტიურობისადმი, ვიდრე სამოქალაქო აქტივიზმის მიმართ და, ზოგადად, პოლიტიკის მიმართ. ისინი თავს იკავებენ რომელიმე კონკრეტულ პარტიასთან აფილირებისგან და ცდილობენ, ნეიტრალური პოზიცია დაიკავონ.



▶ ახალგაზრდებისთვის პოლიტიკური აქტივიზმი არასასურველი იარაღების მიწებებასთან ასოცირდება. მიუხედავად ამისა, ახალგაზრდების ნაწილს სჭერა, რომ პოლიტიკური აქტივიზმის საშუალებით კონკრეტული შედეგების მიღწევა უფრო სწრაფად და მარტივად შეესაძლებელი.

▶ რესპონდენტთა შორის სამოქალაქო აქტივიზმი შედარებით უფრო გავრცელებულია. სრული უმრავლესობა ყოფილა ორგანიზატორი ან მონაწილე ადგილობრივ თვითმმართველობაში საზოგადოების ჩართულობის რომელიმე ფორმაში: პეტიციის შედგენა, საკრებულოს სხდომებზე დასწრება, საპროტესტო აქციები და მისთ.

▶ ყველა რეგიონისთვის საერთო გამოწვევად რჩება ადგილობრივად აქტივიზმის წახალისება. უმეტეს შემთხვევაში, განსაკუთრებით რეგიონებში, კრიტიკული აზრის ხმამაღლა თქმა პიროვნულ დაპირისპირებასთან არის დაკავშირებული და ურთიერთთანამშრომლობა არ განიხილება ძალების კონსოლიდირების პოპულარულ გზად.

### სექტორთშორისი თანამშრომლობა

▶ სამეგრელო-ზემო სვანეთის მაგალითით თუ ვიმსჯელებთ, ზუგდიდის მუნიციპალიტეტს არაერთი წარმატებული პროექტი განუხორციელებია, როგორც კერძო და სამოქალაქო სექტორის ჩართულობით, ასევე – უცხოელი დონორების დახმარებით.

▶ პირადი კონტაქტები, დიდწილად, განაპირობებს იმას, ითანამშრომლებენ თუ არა სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლები ერთმანეთთან.

▶ ყველა რეგიონში შეინიშნება კადრების ხშირი ცვლილების პრობლემა, რის შედეგადაც კონკრეტულ პიროვნებებთან დამყარებული საქმიანი ურთიერთობა და ნდობა იკარგება. ხოლო ახალ კადრებთან ეფექტური თანამშრომლობის დაწყება დამატებით დროსა და ენერჯიას მოითხოვს.

▶ ქუთაისისა და ზუგდიდის მაგალითით შეიძლება ითქვას, რომ სექტორთშორისი თანამშრომლობა, ძირითად შემთხვევებში, წარმატებულია. ხშირად ადგილობრივი თვითმმართველობა საკონსულტაციო შეხვედრებს მართავს ადგილობრივ სამოქალაქო ორგანიზაციებთან და რთავს მათ სამუშაო პროცესში, რაც პოზიტიურ გამოცდილებად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

▶ აჭარაში დღემდე გამოწვევად რჩება ინტერსექტორული თანამშრომლობა, მიუხედავად იმისა, რომ საერთო ინიციატივები ხორციელდება. განსაკუთრებით, კერძო სექტორს უჭირს თანამშრომლობა, როგორც სამოქალაქო, ასევე, სამთავრობო სექტორთან.

- ▶ შიდა ქართლში ფოკუსტკუფის მონაწილეებმა პოზიტიურად შეაფასეს სექტორებს შორის თანამშრომლობა. თუმცა, გამოჩნდა შემთხვევები, როცა თანამშრომლობის მთავარი მიზანი პირად სარგებელი იყო, შესაბამისად, ეს ნაკლებად ნაყოფიერს და მდგრადს ხდის პროცესს. ზოგადად, ახალგაზრდების აზრი ნაკლებად არის გათვალისწინებული და თანამშრომლობაც ზედაპირულია.
- ▶ სხვა რეგიონის რესპონდენტებისგან განსხვავებით, შიდა ქართლში ფოკუსტკუფის მონაწილეებმა, აღნიშნეს, რომ ადგილობრივ კერძო სექტორთან თანამშრომლობა უფრო მარტივია, ვიდრე საჯარო სექტორთან. ისინი თვლიან, რომ ამ მიმართულებით ბევრი მუშაობა არის საჭირო, რათა ყველა სექტორმა კონკრეტული პრობლემების გადაწყვეტაში თავიანთი როლი იპოვოს და კოორდინირებულად იმოქმედოს.
- ▶ ქვემო ქართლის მაგალითით შეიძლება ითქვას, რომ სამოქალაქო სექტორი და ადგილობრივი თვითმმართველობის თანამშრომლობის პოზიტიური გამოცდილება და პრაქტიკა არსებობს. ადგილობრივი აქტივისტების ჯგუფი მჭიდროდ თანამშრომლობს მერიასთან და საერთო ინიციატივების აქვთ განხორციელებული.
- ▶ მონაწილეების თქმით, თანამშრომლობის სურვილი საჯარო და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის ზოგიერთ შემთხვევაში არაჭანსაღ ხასიათს იძენს და ისინი ერთმანეთთან კონკურენციაზე არიან ორიენტირებულნი. ორგანიზაციებთან, რომლებიც ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ კრიტიკული დამოკიდებულებით გამოირჩევიან, თანამშრომლობის შანსები მნიშვნელოვნად მცირდება. ხოლო ორგანიზაციები, რომლებიც მჭიდროდ თანამშრომლობენ ადგილობრივ თვითმმართველობასთან, ხშირ შემთხვევაში მიკერძოებულად მიიჩნევიან, ვინაიდან ცდილობენ, კრიტიკული დამოკიდებულება ნაკლებად გამოხატონ.


## შესავალი

დღესდღეობით მიგრაცია გლობალურ ფენომენად ითვლება, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე. ქვეყნებს შორის საზღვრები უფრო და უფრო უხილავი ხდება და ადამიანებს მეტი შესაძლებლობა ეძლევათ, ისწავლონ ან/და იმუშაონ ქვეყნის გარეთ. დასაქმების ბაზარი, რომელიც დღევანდელ მსოფლიოში გლობალური გახდა, მიგრაციის ერთ-ერთ მამოძრავებელ ძალად მიიჩნევა და განპირობებულია ხარისხიანი განათლების, უკეთესი ანაზღაურების მიღებისა და, ზოგადად, ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების სურვილით. ისტორიაში მიგრაცია სხვადასხვა ფორმით გამოიხატებოდა და განვითარების ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობად მიიჩნეოდა. მოსახლეობის ერთი ტერიტორიიდან მეორეზე გადასვლა მჭიდროდ არის სიახლის და ინოვაციების განვითარებასთან დაკავშირებული. გადაადგილების მასშტაბის მიხედვით, განასხვავებენ გარე (საერთაშორისო მიგრაცია) და შიდა მიგრაციას. შიდა მიგრაცია გულისხმობს ადამიანების გადაადგილებას ქვეყნის ერთი რეგიონიდან მეორეში ახალ საცხოვრებელ ადგილზე დამკვიდრების მიზნით, რომელიც შეიძლება იყოს დროებითი ან მუდმივი. შიდა მიგრანტები გადაადგილდებიან, მაგრამ რჩებიან წარმოშობის ქვეყნის საზღვრებში, მაგალითად, სოფლად დასახლებულთა მიგრაცია ქალაქებში (მიგრაციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, 1998). საქართველოში დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, შიდა მიგრაცია, ძირითადად, შრომითი მიგრაციით გამოიხატებოდა — სოფლებიდან დიდი ქალაქებისკენ. ქვეყნის შიგნით საცხოვრებელი ადგილის შეცვლის ძირითადი მოტივი სწორედ მძიმე სოციალური და ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება იყო.

ეკონომიკურმა სიდუხჭირემ მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი აიძულა, საცხოვრებელი ადგილი დაეტოვებინა და გადაადგილებულიყო არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით — დიდი ქალაქებისკენ, არამედ – ქვეყნის გარეთაც. დასაქმების შესაძლებლობების ნაკლებობა, ღირსეული ანაზღაურების არარსებობა და არასტაბილურობის განცდა იმ მრავალ გამომწვევ მიზეზებს შორის არის, რომლებიც საქართველოს მოსახლეობას უბიძგებს შიდა თუ გარე მიგრაციისკენ.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ 2021 წელს უმუშევრობის ყველაზე მაღალი დონე 15-19 წლის ასაკის ახალგაზრდებში იყო. ამას მოსდევს 20-24 წლის ასაკობრივი კატეგორია და შემდეგ 25-29 (ნახატი 1). ახალგაზრდები, რომლებიც ადგილობრივ დონეზე დოვლათის შემქმნელები უნდა იყვნენ, განვითარდნენ პროფესიულად, ტოვებენ რეგიონებს და საცხოვრებელს იძულებით იცვლიან.

### უმუშევრობის დონე ასაკობრივ ჯგუფში 2021 წელს, %




**ნახ. 1. წყარო: საქსტატი, 2021**

(ხელმისაწვდომია: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/683/dasakmeba-umushevroba>)

არანებაყოფლობითი შიდა მიგრაცია საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობის, სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით, დღემდე სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს. ამიტომაც მნიშვნელოვანია, რომ როგორც გარე, ასევე შიდა მიგრაციის სწორი პოლიტიკის დაგეგმვა ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხს წარმოადგენდეს. ვინაიდან აღნიშნული საკითხი ძალიან ფართოა და უფრო მეტად სიღრმისეულ კვლევას საჭიროებს, წინამდებარე დოკუმენტი შეეხება ქვეყნის შიდა მიგრაციის საკითხს და ახალგაზრდების დამოკიდებულებას შიდა მიგრაციისადმი.

## კვლევის შედეგები

სამიზნე რეგიონებში ფოკუსჯგუფის ინტერვიუებიდან ნათლად ჩანს, რომ ყველა ასაკობრივი კატეგორიისთვის სამუშაო ადგილების ნაკლებობა/არარსებობა ერთ-ერთ მწვავე პრობლემად რჩება. ამას ცხადყოფს საქსტატის მონაცემები, სადაც უმუშევრობის დონის მკვეთრი მატება შეინიშნება ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში.




**ნახ. 2. წყარო: საქსტატი, 2021**

(ხელმისაწვდომია: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/683/dasakmeba-umushevroba>)

თუკი უმუშევრობის დონის დინამიკას შევხედავთ (ნახ. 2), შევამჩნევთ, რომ უმუშევრობა 2019-2021 წლების მონაკვეთში მზარდია. თუ იმავე საკითხს ქალაქისა და სოფლის ქრილში განვიხილავთ (ნახ.3), ჩანს, რომ უმუშევრობა გასული ოთხი წლის განმავლობაში თითქმის ერთნაირად იმატებს, როგორც ურბანულ დასახლებებში, ასევე – პერიფერიებში. თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ დასაქმება ამ შემთხვევაში გულისხმობს არაფორმალურ შემოსავალსაც, რაც, შესაძლოა, არ გვაძლევდეს ზუსტ სურათს, როგორც ქალაქის, ასევე, სოფლების შემთხვევაში.

### უმუშევრობის დონე ქალაქ-სოფლის რეგიონებში, %




ნახ. 3. წყარო: საქსტატი, 2021

(ხელმისაწვდომია: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/683/dasakmeba-umushevropa>)

თუ უმუშევრობის დონეს რეგიონების მიხედვით გადავხედავთ (ნახ. 4), 2021 წელს პროცენტულად ყველაზე მეტად რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებში დგას უმუშევრობის პრობლემა, რომელთაც მოჰყვება ქვემო ქართლი და იმერეთი. უმუშევრობის დონე 2022 წლის მეორე კვარტალში (ნახ. 5) ქვეყანაში, მოცემული მონაცემების მიხედვით, 18.1%-ია. გამოდის, რომ თითქმის ყოველ მეხუთე ადამიანს სამსახური არ აქვს.

### უმუშევრობის დონე რეგიონების მიხედვით 2021 წელს, %



## უმუშევრობის დონე, ათასი კაცი

	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2022 I	2022 II
სამუშაო ძალა, ათასი კაცი	1629.0	1675.6	1653.8	1641.4	1605.2	1572.8	1523.7	1533.6	1490.7	1551.5
დასაქმებული, ათასი კაცი	1255.0	1308.5	1294.5	1286.9	1296.2	1295.9	1241.8	1217.4	1201.1	1269.9
უმუშევარი, ათასი კაცი	374.0	367.2	359.2	354.5	309.0	276.9	281.9	316.2	289.6	281.6
უმუშევრობის დონე, პროცენტი	23.0	21.9	21.7	21.6	19.2	17.6	18.5	20.6	19.4	18.1

### ნახ. 5. წყარო: საქსტატი, 2022

(ხელმისაწვდომია: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/683/dasakmeba-umushevroba>)

მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის მიერ 2019 წელს შემუშავებული დოკუმენტი „მიგრაციის პროფილი“ რიგით მესამე ე.წ. საშუალო ფორმატის პროფილია და მიზნად ისახავს მიგრაციასთან დაკავშირებული ოფიციალური მონაცემებისა და სტატისტიკის თავმოყრას. დოკუმენტში ძირითადი აქცენტი ეკომიგრანტებსა იძულებით გადაადგილებულ პირებზე კეთდება, თუმცა არაფერია ნახსენები შიდა მიგრაციის გამომწვევ მიზეზებზე. საქსტატის მონაცემების ანალიზით ირკვევა, რომ საქართველოში სოფლის ტიპის დასახლებებში მოსახლეობის რაოდენობა ყოველწლიურად მცირდება, რასაც შიდა მიგრაციის კომპლექსური ეკონომიკურ-სოციალური ფაქტორები განაპირობებს. შიდა მიგრაციის საკითხებზე მუშაობა რეგიონული განვითარების პოლიტიკის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს. კონკრეტულად, მათი ვალდებულებაა ისეთი ინსტრუმენტების შემუშავება, რომლებიც შეამცირებს ახალგაზრდების გადინებას რეგიონებიდან და შეუქმნის მათ ადგილობრივად განვითარების შესაძლებლობებს (მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია 2019).

2018-2021 წლის რეგიონული განვითარების სტრატეგიაში პროგრამის პრიორიტეტებს წარმოადგენდა:

- ▶ ქვეყნისა და მისი რეგიონების კონკურენტუნარიანობისა და მდგრადი განვითარების ხელშემწყობი ძირითადი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;
- ▶ მცირე და საშუალო საწარმოების, ზრდაზე ორიენტირებული ეკონომიკის სექტორებისა და ექსპორტის ხელშემწყობის მხარდაჭერა;
- ▶ ადამიანური კაპიტალის განვითარების ხელშემწყობა;
- ▶ ადგილობრივი განვითარების ხელშემწყობა და კონკრეტული ტერიტორიების მხარდაჭერა, მათი ენდოგენური განვითარების საფუძველზე;
- ▶ რეგიონული განვითარების ინსტიტუციების ხარისხისა და ეფექტიანობის გაზრდა, საპილოტე რეგიონული განვითარების პროგრამების მომზადება;
- ▶ ზემოაღნიშნული პრიორიტეტების მიხედვით 2018-2021 წლების განმავლობაში საქართველოს რეგიონებში 100-ზე მეტი ღონისძიება და აქტივობა დაგეგმილი (MRDI 2022).

ფაქტია, რომ რეგიონული განვითარების სტრატეგიაში მნიშვნელოვანი პრიორიტეტებია ჩამოთვლილი, რომლებიც ახალგაზრდებისთვის შესაძლებლობების გაჩენის გზებს ქმნის, თუმცა რეალურად, ეს შიდა მიგრაციაზე დადებითად ჯერ-ჯერობით არ აისახება.

კვლევის მიზანია: შიდა მიგრაციის ძირითადი გამომწვევი მიზეზების იდენტიფიცირება ხუთ სხვადასახვა რეგიონში (აჭარა, იმერეთი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, შიდა და ქვემო ქართლი) 18-35 წლის ახალგაზრდებში, განსაზღვრა იმისა, თუ როგორ ეხმარება სახელმწიფო და სხვადასხვა სექტორი რეგიონში შიდა მიგრაციის ნიშნულის შემცირებას. ასევე, კვლევაში შემოთავაზებულია რეკომენდაციები, როგორც ცენტრალური ხელისუფლებისთვის, ისე სამიზნე რეგიონების თვითმმართველობის, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და საერთაშორისო დონორებისთვის. კვლევის უპირატესობა საკითხის გარშემო მწირი ქართული და უცხოენოვანი მასალის ფონზე ინფორმაციული დანაკლისის შევსების მცდელობაა. ასევე, კვლევა ეხება ახალგაზრდების სამოქალაქო და პოლიტიკური აქტივიზმის საკითხსა და რესურსებზე ხელმისაწვდომობას, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული მიგრაციის საკითხთან.

## **ახალგაზრდების გამონვევები რეგიონულ ზრილში**

მთავარი საკვლევი საკითხი რეგიონში არსებული გამონვევები იყო, რომლებსაც ახალგაზრდები აწყდებიან სამოქალაქო და პოლიტიკური ჩართულობის კუთხით. ამ მიზნით, ინტერვიუები ჩატარდა, როგორც სამთავრობო, ასევე, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან. შეხვედრები გაიმართა მერიის ახალგაზრდული განყოფილებების ხელმძღვანელებთან და იმ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომლებიც, ხუთ წელზე მეტია, ახალგაზრდული საკითხების ლობირებაზე მუშაობენ. ასევე, განხილული იყო ახალგაზრდების ზოგადი საჭიროებები ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა საგანმანათლებლო თუ რეკრეაციულ აქტივობებში ჩართულობის გაზრდის მიზნით. ყოველ რეგიონს თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე შეიძლება განსხვავებული გამონვევა ჰქონდეს.

## **სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი**

სამეგრელო-ზემო სვანეთში ახალგაზრდების გამონვევად რჩება ქვემოდან ზემოთ მართვისა და მონაწილეობის პრინციპის ნაკლებად გამოყენება ადგილობრივი ხელისუფლების მიერ, როცა ახალგაზრდების გამონვევებსა და მათი ინტერესის გათვალისწინების საკითხზე ვსაუბრობთ.

რეგიონში გამოიკვეთა, როგორც ინფრასტრუქტურული, ასევე სხვა სოციალური თუ კულტურული წინაღობები, რომლებსაც ახალგაზრდები ყოველდღიურად აწყდებიან. ახალგაზრდებს ნაკლებად აქვთ წვდომა ხარისხიან განათლებაზე, სტუდენტები არსებული სოციალური თუ კულტურული სტერეოტიპების გამო ვერ იღებენ იმ სიკეთეებს, რომელთაც შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი სთავაზობს, მაგალითად, სტუდენტურ საცხოვრებლით არ სარგებლობენ. ასევე, გამონვევად რჩება უმუშევრობა. არაფორმალურ განათლებაზე ყველა ახალგაზრდას არ მიუწვდება ხელი. ახალგაზრდების პოლიტიკაში ჩაბმა ან პოლიტიკური აქტივიზმის ხელშეწყობა არ ხდება, პირიქით, ისინი ერიდებიან ამ სახის აქტივობებში ჩართვას განსაკუთრებით მაშინ, როცა ოჯახის წევრები საჯარო სექტორში არიან დასაქმებულნი.

## იმერეთის რეგიონი

მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი სამთავრობო და არასამთავრობო სექტორი აქტიურად მუშაობენ ახალგაზრდული საჭიროებების კვლევისა და მათი გამოწვევების ადვოკატირების კუთხით, ახალგაზრდების შესაძლებლობების რეალიზება ვერ ხდება. ადგილობრივი თვითმმართველობა პრიორიტეტულად მიიჩნევს ახალგაზრდული ბანაკების ორგანიზებას, ახალგაზრდული იდეების მხარდაჭერას და სხვადასხვა ფესტივალების ორგანიზებას.

არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები სხვადასხვა და უფრო მრავალფეროვან აქტივობებს და ღონისძიებებს სთავაზობენ ადგილობრივ ახალგაზრდებს, როგორც არაფორმალური განათლების კუთხით, ასევე, ახალგაზრდული სივრცის სახით. ახალგაზრდებს ადგილობრივ ორგანიზაციების მეშვეობით აქვთ საშუალება, გამართონ დისკუსია ან მიიღონ მონაწილეობა დაგეგმილ აქტივობებში. ახალგაზრდებს სურთ, უფრო მჭიდრო და უშუალო ურთიერთობა ჰქონდეთ ადგილობრივ თვითმმართველობასთან.

ძირითად დამაბრკოლებელ ფაქტორად მიჩნეულია ახალგაზრდული სივრცეების არარსებობა და რესურსების სიმწირე.

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა

აჭარაში ყველაზე დიდ პრობლემას გაუმართავი ინფრასტრუქტურა და, შესაბამისად, შეზღუდული მობილობა წარმოადგენს. რესპონდენტების თქმით, მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა, განსაკუთრებით მაღალმთიან ადგილებში, ახალგაზრდების ჩართულობასა და აქტივიზმზე უარყოფითად მოქმედებს. ხშირად სოფლებში მოსახლეობას ისეთი საბაზისო საჭიროებები არ აქვს დაკმაყოფილებული, როგორებიცაა სასმელი წყლის მიწოდება და სავალი გზები. შედეგად, სამოქალაქო თუ პოლიტიკური აქტივიზმი სოფელში ცხოვრების მძიმე პირობებისა და ფიზიკური შრომის ფონზე მეორეხარისხოვანია.

*„როცა საბაზისო საჭიროების დაკმაყოფილების შესაძლებლობა არ აქვს ახალგაზრდას, სხვა ყველაფერი მეორეხარისხოვანი ხდება“ რესპონდენტი, 26 წლის*

პრობლემა არის ასევე ინტერნეტთან წვდომა, რომელიც კონკრეტულ რაიონებში ან საერთოდ არ არის ან ადგილობრივი მოსახლეობისთვის ფუფუნების საგანს წარმოადგენს. უინტერნეტობა კი პირდაპირ უკავშირდება ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. შესაბამისად, ბევრი ახალგაზრდა მხოლოდ იმიტომ არ არის რაიმე კონკრეტულ ღონისძიებაში ჩართული, რომ უბრალოდ ინფორმაცია არ ჰქონდა ამის შესახებ. როგორც სხვა რეგიონებში, აჭარაშიც გამოიკვეთა ახალგაზრდული სივრცეების ნაკლებობის/არარსებობის საკითხი. პატარა ქალაქებსა თუ სოფლებში არ არსებობს ისეთი ადგილი, სადაც ახალგაზრდები შეძლებენ შეკრებას, გარკვეულ საკითხებზე მსჯელობასა და სამომავლო გეგმების დასახვას. აქვე, უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი აქტივობა, რომელიც შინაარსობრივად ახალგაზრდებისთვის იგეგმება, არის ერთჯერადი ხასიათის და ნაკლებადაა ორიენტირებული მდგრად შედეგებზე. როგორც წესი, ადგილობრივ საჭიროებებთან დაკავშირებული გადამწყვეტილებები ცენტრში მიიღება, აქტივობებს არ აქვს განგრძობითი ხასიათი და ეს იწვევს უნდობლობას მონაწილეების მხრიდან. საბოლოოდ კი ახალგაზრდები მათი ჩართულობის მნიშვნელობას ვერ ხვდებიან, ვინაიდან შედეგი გაწეული შრომის საპირწონე არ არის.



დაბოლოს, აჭარის რეგიონში ჯერ კიდევ სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს საზოგადოების მენტალობა და გენდერული სტერეოტიპები. რესპონდენტების თქმით, ხშირია შემთხვევები, როდესაც გოგონებს ოჯახის წევრები არ უშვებენ ტრენინგებზე, მით უმეტეს, თუ აქტივობა სხვა ქალაქში არის დაგეგმილი და ღამისთევით წასვლაა საჭირო. ამ შემთხვევაში, როგორც წესი, გადამწყვეტი როლი აქვს ხოლმე ორგანიზაციას, რომელიც გეგმავს აქტივობას. თუკი ორგანიზაციას კარგი რეპუტაცია აქვს, მეტი შანსია, რომ ოჯახი დათანხმდეს გოგონას გაშვებას კონკრეტულ ადგილას.

## შიდა ქართლის რეგიონი

შიდა ქართლში რესპონდენტების მიერ ყველაზე მწვავე გამოწვევად ადგილზე დასაქმების საკითხი დასახელდა. შეუსაბამო ხელფასი, სამუშაო ადგილების არარსებობა იწვევს ახალგაზრდების რეგიონიდან გადინებას. მნიშვნელოვანი პრობლემაა ასევე, ახალგაზრდული სივრცეების არარსებობა. ახალგაზრდებს გარდა იმისა, რომ შეკრებისა და სხვადასხვა საკითხების განხილვის სივრცე ესაჭიროებათ, არ აქვთ გასართობი ადგილების არჩევანიც, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს რეგიონიდან ახალგაზრდების გადინებას. ამას ემატება ისიც, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემა არ არის გამართული, განსაკუთრებით სოფლებთან დამაკავშირებელ გზებზე, რაც ახალგაზრდებს თავისუფლად გადაადგილებას უზღუდავს.

*„ინტერნეტზე ხელმისაწვდომობა კვლავ პრობლემაა ბევრ სოფელში, ის ფუფუნების საგანს წარმოადგენს და, შესაბამისად, ახალგაზრდებს არ აქვთ ინფორმაციაზე წვდომის საშუალება“, რესპონდენტი, 34 წლის*

ინტერნეტის პრობლემა, მსგავსად სხვა რეგიონებისა, შიდა ქართლის რეგიონშიც დგას. განსაკუთრებით, ოკუპირებულ ხაზთან მდებარე სოფლებში, რაც ახალგაზრდების ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის პრობლემას ამწვავებს. შედეგად კი ახალგაზრდები იმდენად არიან ყოველდღიური საბაზისო პრობლემების მოგვარებასა და ფიზიკურ შრომაში ჩაბმულნი, რომ ნაკლებად აქვთ პოლიტიკური თუ სამოქალაქო აქტივიზმის ინტერესი და შესაძლებლობა.

## ქვემო ქართლის რეგიონი

ქვემო ქართლის ახალგაზრდებზე დედაქალაქთან ახლოს ცხოვრება გავლენას ახდენს, როგორც დადებითი, ისე – ნეგატიური კუთხით. რეგიონის დედაქალაქთან სიახლოვე უბიძგებს ახალგაზრდებს, შესაძლებლობების მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, მეტად იყვნენ ჩართულნი დედაქალაქში მიმდინარე ღონისძიებებში და ნაკლებად – უშუალოდ რუსთავში მიმდინარე აქტივობებში. ადგილობრივი თვითმმართველობების მხრიდან აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება სწორედ ამ ტენდენციის შეცვლისკენ უნდა იყოს მიმართული.

*„გამოწვევად რჩება გაუმართავი ქალაქშორისი ტრანსპორტი, რომელიც ახალგაზრდებს უზღუდავს გადაადგილების და რესურსებზე წვდომის შესაძლებლობას“, რესპონდენტი, 30 წლის*

ადგილობრივი ახალგაზრდებისთვის გასულ რამდენიმე თვეში რიგი ღონისძიებები მოეწყო, რომელიც ემსახურებოდა ახალგაზრდებისათვის ადგილზე ინიციატივების შეთავაზებას და სხვადასხვა ინიციატივებში აქტიურად ჩართვის სურვილის გაზრდას. ახალგაზრდული სივრცის არარსებობა არ წარმოადგენს რუსთავის შემთხვევაში სირთულეს. რუსთავს გამოჩენილად ძლიერი სამოქალაქო საზოგადოება და აქტივისტები ჰყავს, რომლებიც ეკოლოგიური საკითხების ადვოკატირების მიზნით წლის განმავლობაში სხვადასხვა სექტორის დახმარებით არაერთ აქტივობას გეგმავს და ახორციელებს.

## ახალგაზრდების შიდა მიგრაცია

გამომდინარე იქიდან, რომ ახალგაზრდების ერთ-ერთ გამოწვევად შიდა მიგრაცია რჩება, წინამდებარე თავში მოცემულია მიგრაციის გამომწვევი მიზეზები რეგიონულ ქრილში.

## სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი

სამეგრელო-ზემო სვანეთში, ისევე როგორც საქართველოს სხვა რეგიონებში, ახალგაზრდების (და არა მარტო) მიგრაცია, როგორც დედაქალაქისკენ, ასევე – გარე მიგრაცია, ერთ-ერთი მწვავე საკითხს წარმოადგენს. მიზეზები სხვა რეგიონების მსგავსია. ახალგაზრდების თქმით, რეგიონში დიდ პრობლემას წარმოადგენს დაბალი ხარისხის განათლება, ახალგაზრდული სივრცეების ნაკლებობა და ახალგაზრდული შემეცნებით-საგანმანათლებლო აქტივობები. გამომდინარე იქიდან, რომ სტერეოტიპული დამოკიდებულება ჯერ კიდევ გამოწვევად რჩება რეგიონში, ახალგაზრდები, განსაკუთრებით, გოგონები, თავისუფლად გრძნობენ თავს დედაქალაქში. სამეგრელო-ზემო სვანეთში ინფრასტრუქტურული პრობლემები – წყალმომარაგება, გზები, გაზიფიცირება, ინტერნეტი – კვლევ პრობლემაა რეგიონში. ხოლო პერიოდში შეინიშნება ახალგაზრდების უკუმიგრაცია, რაც საუნივერსიტეტო მობილობით არის განპირობებული. რეგიონში უკან დაბრუნების მიზეზად ახალგაზრდები გაძვირებულ ბინებსა და ინფლაციასაც ასახელებენ. სამეგრელოს განგანსხვავებით, სვანეთში, მართალია, მიგრაცია დიდი ქალაქებისკენ აქტუალურია, თუმცა აქ უკუმიგრაციის სალდო დადებითია. გამომდინარე იქიდან, რომ სვანეთი საქართველოს ერთ-ერთი პოპულარული ტურისტული ადგილია, აქ ამავე სექტორში ბევრ ადგილობრივად მცხოვრებ ოჯახს აქვს მცირე თუ საშუალო საოჯახო ბიზნესი. ახალგაზრდები არამარტო სეზონურად, არამედ მუდმივსაცხოვრებლადაც უფრო აქტიურად უბრუნდებიან რეგიონს. ადგილობრივ დონეზე ბიზნესის განვითარება ძალიან კარგ პირობას ქმნის ახალგაზრდებისთვის. გარდა იმისა, რომ ისინი გამოცდილებას იძენენ კონკრეტული მიმართულებით, სწავლის საფასურის გადახდას ახერხებენ სეზონური სამსახურით. ამავე დროს, მათ რეგიონის განვითარებასა და პოპულარიზაციაში შეაქვთ თავიანთი წვლილი. ისევე, როგორც სამეგრელოში, სვანეთშიც ახალგაზრდული სივრცეების ნაკლებობა, კომუნიკაციისა და ინფრასტრუქტურის პრობლემები გამოწვევად რჩება ახალგაზრდებისთვის. ნეპოტიზმიც ხშირად აიძულებთ მათ, დატოვონ რეგიონი და დასაქმება სხვა, უფრო დიდ ქალაქში სცადონ, რადგან დიდ ქალაქებში შესაძლებლობები მეტია.

*„სვანეთში ბოლო პერიოდში უკუმიგრაცია შეინიშნება. მაგალითად, ერთ-ერთ სოფელში, რომელშიც მხოლოდ ორი ოჯახი იყო დარჩენილი, ახლა ოცდაორი ოჯახი ცხოვრობს“, რესპონდენტი, 28 წლის*

## იმერეთის რეგიონი

ფოკუსჯგუფის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ იმერეთის რეგიონში შიდა მიგრაციის განმაპირობებელი მიზეზები, ძირითადად, სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებს უკავშირდება.

სამუშაო ადგილების, რესურსებსა თუ შესაძლებლობებზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობა უბიძგებს ახალგაზრდებს უკეთესი შრომითი პირობებისა და შემოსავლის მიღების მიზნით დედაქალაქში გადავიდნენ.

*„ახალგაზრდებს არ აქვთ მომავლის რწმენა და დასაქმების პერსპექტივა, რეალიზების საშუალება არ ეძლევათ. შესაბამისად, ადამიანებს, რომლებსაც აქვთ მუშაობის სურვილი, ტოვებენ რეგიონებს“ რესპონდენტი, 27 წლის*

სკოლის დამამთავრებელ ეტაპზე, როცა ახალგაზრდები უნივერსიტეტებში აბრებენ, ნაკლებად არიან ინფორმირებული იმის შესახებ, თუ რომელი პროფესია არის მოთხოვნილი შრომის ბაზარზე. კვლევის მონაწილეების თქმით, ახალგაზრდებს ეთაკილებათ ფიზიკური შრომა, ნაკლებად ინტერესდებიან სოფლის მეურნეობის დარგების შესწავლით, პროფესიული უნარ-ჩვევების დახვეწით თუ ახალი პროფესიის შექმნით. ახალგაზრდების თქმით, სტუდენტები, რომლებიც წარმატებით ვერ აბარებენ დედაქალაქში, გადადიან რეგიონებში არსებულ უმაღლეს სასწავლებლებში, რადგან იქ, მათი თქმით, ნაკლები სიმკაცრეა და მათთვის მარტივია უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დიპლომის მიღება. მონაწილეების აზრით, ხშირ შემთხვევაში ახალგაზრდებს აბრკოლებთ არსებული კუთლურული სტერეოტიპები, რომლებიც მათ ქცევებსა თუ დამოკიდებულებებზე გავლენას ახდენს.

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა

აჭარის რეგიონებში ჩატარებული ფოკუსჯგუფის შეხვედრის მონაწილეების თქმით, ახალგაზრდების შიდა მიგრაციის მიზეზი სხვადასხვაა. მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ბათუმი საუნივერსიტეტო ქალაქია, განათლების დაბალი ხარისხი და უნივერსიტეტებში მოუწესრიგებელი მენეჯმენტი ხშირ შემთხვევაში აიძულებს ახალგაზრდებს, დედაქალაქში გადავიდნენ განათლების მისაღებად. ასევე, ზოგიერთმა მათგანმა აღნიშნა, რომ კრიტიკულად მოაზროვნე სტუდენტები უნივერსიტეტებში წინააღმდეგობებს აწყდებიან, რაც გარდა დაბალი ხარისხის განათლებისა, ახალგაზრდების რეგიონიდან გადინების დამატებითი ბიძგია. მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფონი, როგორც დიდ ქალაქებში, ასევე პერიფერიებში გამოწვევად რჩება და განსაკუთრებით რთულია მაღალმთიან სოფლებში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის. გარდა დაბალი ხარისხის განათლებისა, ინფრასტრუქტურული პრობლემები უფრო მოწყვლად მდგომარეობაში აყენებს ახალგაზრდებს. ისინი ხშირად ქალაქში ვერ ჩამოდიან გაუმართავი გზის გამო, ასევე, ხშირად არის სოფლებში წყლის პრობლემა. განათლებაზე წვდომას კი აფერხებს არასტაბილური ინტერნეტის მიწოდება მაღალმთიან სოფლებში.

ფოკუსჯგუფის მონაწილეების თქმით, მოსახლეობის უნდობლობა სხვადასხვა ორგანიზაციების მიმართ, რომლებიც ადგილობრივი პრობლემების ადვოკატირების კუთხით მუშაობენ, განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ისინი ნაკლებად ახორციელებენ ისეთ ინიციატივებს, რომლებიც გრძელ ვადაში შედეგს გამოიღებს. ზედაპირული დამოკიდებულება ადგილობრივი მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევს.

## შიდა ქართლის რეგიონი

სხვა რეგიონების მსგავსად, ფოკუსჯგუფის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ შესაძლებლობების ნაკლებობა ადგილობრივ დონეზე განაპირობებს დედაქალაქისკენ მიგრაციის სურვილს. ქვემო ქართლის რეგიონის მსგავსად, დედაქალაქთან სიახლოვე, ერთი მხრივ, დადებით მოვლენად შეგვიძლია განვიხილოთ, რადგან დასაქმების შესაძლებლობას აჩენს ადგილობრივებისთვის, თუმცა ამავდროულად ადგილობრივად რეგიონიდან კადრების გადინებას იწვევს. ახალგაზრდების თქმით, შიდა ქართლის რეგიონში გამოწვევას წარმოადგენს ინფრასტრუქტურა – გზები და მუნიციპალური ტრანსპორტი. არ არსებობს ახალგაზრდული სივრცე, გასართობი თუ კულტურული ღონისძიებები, არ ფუნქციონირებს კინოთეატრი. ახალგაზრდებმა წუხილი გამოთქვეს, რომ რეგიონს არ აქვს ბიბლიოთეკა. გამომდინარე იქიდან, რომ გორი ერთ-ერთი ტურისტული ქალაქია, შესაბამისი ინფრასტრუქტურა არ არის განვითარებული.

## ქვემო ქართლის რეგიონი

ქვემო ქართლის რეგიონში ქანქარისებური მიგრაცია ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა. გამომდინარე იქიდან, რომ რეგიონი ახლოს არის დედაქალაქთან, ახალგაზრდების უმეტესობა მუშაობს და სწავლობს დედაქალაქში. ადგილობრივად არსებობს მსხვილი ქარხნები, რომლებშიც ადგილობრივი (და არა მარტო) მუშახელია დასაქმებული. გამომწვევად რჩება მუნიციპალური ტრანსპორტი, რომელიც დედაქალაქთან აკავშირებს ქალაქ რუსთავს, რაც მობილობას უზღუდავს ახალგაზრდებს.

## სამოქალაქო და კოლიტიკური აქტივიზმის განმარტებები - ახალგაზრდების ხედვა

კვლევის ერთ-ერთი მიზანი იყო, გამოეკვეტა, თუ როგორ აღიქვამენ მონაწილეები სამოქალაქო და პოლიტიკური აქტივიზმის ცნებებს, რამდენად განსხვავებულია ან მსგავსია სხვადასხვა ტიპის აქტივიზმის განმარტებები მათთვის. ასევე, აქტივიზმის რომელ ფორმებში იყვნენ ან არიან ჩართულნი და/ან, ზოგადად, რა ფორმებით გამოიხატება მათთვის აქტივიზმი.

ფოკუსჯგუფის მონაწილეებს ცალ-ცალკე უნდა განემარტათ სამოქალაქო და პოლიტიკური აქტივიზმის ცნებები და მათთან დაკავშირებული აქტივობები და აეხსნათ, თუ იყო ამ ორ ცნებას შორის კვეთა. მონაწილეების უმეტესობისთვის სამოქალაქო აქტივიზმი უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე – პოლიტიკური აქტივიზმი. სამოქალაქო აქტივიზმი იდეოლოგიზებული არ არის, მაშინ როცა პოლიტიკურში ეს ასპექტი მძაფრად იგრძნობა. მონაწილეების უმრავლესობა თანხმდება, რომ სამოქალაქო აქტივიზმი კონკრეტული ჯგუფების პრობლემატური საკითხების წინ წამოწევას, მათ ლობირებას და ადვოკატირებას უკავშირდება, რომლის საბოლოო მიზანი საზოგადოებრივი კეთილდღეობასა და, ზოგადად, მდგომარეობის გაუმჯობესებას ემსახურება. მონაწილეები ფიქრობენ, რომ სამოქალაქო აქტივიზმი თვითშეგნების საკითხია და არ უკავშირდება პოლიტიკას. გამოკითხული ახალგაზრდები თანხმდებიან, რომ საქართველოში სამოქალაქო აქტივიზმი ასოცირდება დაპირისპირებასთან, სადაც გამოსავალსა და შეთანხმებაზე არც სამთავრობო და არც არასამთავრობო სექტორი არ არის ორიენტირებული. ისინი თვლიან, რომ მოლაპარაკების მაგიდასთან დასხდომა, მსჯელობა განსხვავებულ მოსაზრებებზე ჯერ კიდევ უჭირთ პოლიტიკურ და სამოქალაქო აქტივისტებს. სამოქალაქო აქტივიზმი მოითხოვს როგორც ადამიანური, ისე დროითი და ფინანსური რესურსების მობილიზებას. სამოქალაქო აქტივიზმით შესაძლებელია მთავრობა მეტად ანგარიშვალდებული იყოს მოქალაქეების მიმართ. მონაწილეები თანხმდებიან, რომ სამოქალაქო აქტივისტები უნდა იყვნენ კონკრეტული პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებულნი და არა – ძალაუფლების მოპოვებაზე

## **ახალგაზრდების თვალთ დანახული სამოქალაქო აქტივიზმი**

მონაწილეების უმრავლესობა თანხმდება, რომ სამოქალაქო აქტივიზმი არის საშუალება იმისათვის, რომ რიგითმა მოქალაქემ ხმა აიმაღლოს იმ საკითხებზე, რომლებიც აწუხებს და, როგორც მოქალაქემ, პოზიტიური ცვლილებები შეიტანოს თემში. ფოკუსჯგუფის მონაწილეები მიიჩნევენ, რომ სამოქალაქო აქტივიზმი პოლიტიკის ცვლილების კატალიზატორია. ზოგიერთი მათგანისთვის სამოქალაქო აქტივიზმი სოციალური საკითხების წინ წამოწევასთან არის დაკავშირებული და წარმოადგენს გზას ადგილობრივ თუ ცენტრალურ მთავრობას, არ მისცეს მოდუნების საშუალება. სამოქალაქო აქტივიზმი მონაწილეებისთვის საერთო იდეის გარშემო თანამობარეების გაერთიანებასთან ასოცირდება, რათა სათქმელი გადაწყვეტილების მიმღებ პირებამდე სწორად და ეფექტურად მიიტანონ. თუმცა გამოკითხული ახალგაზრდების ნაწილი ფიქრობს, რომ პოლიტიკური აქტივიზმი არ არის გამიჯნული სამოქალაქო აქტივიზმისგან. მეტიც, ისინი ერთმანეთს ავსებენ და აბალანსებენ. კვლევის მონაწილეები აღნიშნავენ, რომ ხშირ შემთხვევაში რთულია ცვლილებები მხოლოდ სამოქალაქო აქტივიზმით, რადგან ხანდახან პოლიტიკური პარტიულობა მანდატს განიჭებს და ერთგვარად ასპარეზია ცვლილებებისათვის.

ფოკუსჯგუფის მონაწილეებს ერთი სამოქალაქო აქტივიზმისკენ მიმართულ ღონისძიებაში მაინც მიუღიათ მონაწილეობა. აქტივიზმის სხვადასხვა ფორმებს შორის უმრავლესობამ დაასახელა საპროტესტო აქციების, როგორც ორგანიზებაში, ასევე დემონსტრანტად მონაწილეობა, მანიფესტისა და პეტიციის მომზადება, სახალხო კრებაში მონაწილეობა, საკრებულოში ბიუჯეტის განხილვაზე დასწრება და ხელმოწერების შეგროვება. ფოკუსჯგუფის მონაწილეები თვლიან, რომ სამოქალაქო აქტივიზმი არის პლატფორმა ცვლილებებისა და კონკრეტული ჯგუფების საჭიროებების წინ წამოწევისათვის. სამოქალაქო აქტივისტებს ქვეყანაში არსებული არასტაბილური სოციალურ-ეკონომიკური ფონი უბიძგებს, ხმა აიმაღლონ არსებული გამოწვევებისა და პრობლემების გადაჭრის მიზნით. ფოკუსჯგუფის მონაწილეები თვლიან, რომ სამოქალაქო აქტივიზმში გამორჩეული უნდა იყოს არაიდეოლოგიზირებული, არაპარტიული და კრიტიკულად მოაზროვნე საზოგადოება, რომელიც მიუკერძოებლად და ობიექტურად წამოწევს პრობლემატურ საკითხებს.

საერთო გამოწვევად რჩება ის ფაქტი, რომ ყველა რეგიონისთვის ადგილობრივად არ ხდება პოლიტიკური და სამოქალაქო აქტივიზმის წახალისება; ამასთან, კრიტიკული აზრის გახმოვანება პიროვნულ დაპირისპირებასთან არის ასოცირებული. თანამშრომლობა და ერთად მუშაობა საკითხებისადმი არ განიხილება ძალების კონსოლიდირების პოპულარულ გზად.

## **ახალგაზრდების თვალთ დანახული პოლიტიკური აქტივიზმი**

ფოკუსჯგუფების მონაწილეები თვლიან, რომ პოლიტიკური აქტივიზმი და/ან რომელიმე პოლიტიკურ პარტიასთან აფილირება არ არის მომხიბვლელი ახალგაზრდებისთვის. მათი აზრით, საქართველოში პოლიტიკური აქტივიზმი დაკავშირებულია რომელიმე პარტიის იდეოლოგიასთან და პარტიულ საქმიანობაში ჩართვასთან. მონაწილეების უმრავლესობის თქმით, პოლიტიკური პარტიების მიმართ ნდობის ნაკლებობა, ნიჰილიზმი, განცდა იმისა, რომ მათი ხმა ცვლილებას ვერ მოიტანს, აიძულებს ახალგაზრდებს, თავი პოლიტიკური საქმიანობისგან შორს დაიჭირონ ან სრულიად გაემიჯნონ ამ სფეროს. როცა სამოქალაქო აქტივისტები გადადიან პოლიტიკური აქტივისტების რიგებში, ისინი ხშირ შემთხვევაში სახელისუფლებო კრიტიკას არბილებენ. თავის მხრივ, პოლიტიკურ პარტიებს ახალგაზრდების შენარჩუნება უჭირთ, რადგან პარტიულ პოლიტიკაში ჩართვა ახალგაზრდების მოლოდინებს ვერ ამართლებს, მათ არ ეძლევათ საშუალება განვითარდნენ, თავიანთი შესაძლებლობები გამოავლინონ და ახალი

გამოცდილებები მიიღონ. პოლიტიკურ პარტიებში, მერიტოკრატიის პრინციპით, ისინი ვერ მოახერხებენ თავიანთი, როგორც პოლიტიკოსის, კარიერა განავითარონ. მონაწილეების ნაწილი თვლის, რომ სამოქალაქო აქტივიზმი ერთგვარად წარმოადგენს ტრამპლინს პარტიულ საქმიანობაში ჩართვისთვის, რადგან ხშირად სამოქალაქო აქტივიზმით იწყებენ პოლიტიკოსები თავიანთ პოლიტიკურ კარიერას. თუმცა, სიკეთე, რომელსაც პარტიული მიკუთვნებულობა სთავაზობს მათ, არის ფორმალური გაერთიანება, მაგ., პარტიის წევრის სტატუსით ჩართვა და თანამშრომლობა სხვადასხვა სტრუქტურასთან. ის ერთგვარად ანიჭებს მათ მანდატს, გავლენა იქონიონ გადაწყვეტილებაზე. ახალგაზრდებისთვის პოლიტიკური პარტიულობა იარლიყების მიწებებასთან ასოცირდება, რაც მათთვის პარტიულ საქმიანობას არასასურველს ხდის.

## საერთაშორისო თანამშრომლობა

ჩატარებული კვლევის ფარგლებში გამოიკითხა, ადგილობრივი სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციები. ქვემოთ განხილულია სექტორთაშორის თანამშრომლობის საკითხი რეგიონულ ქრისტიანულ სექტორთაშორის თანამშრომლობა მნიშვნელოვანია რესურსების კონსოლიდაციის გზით საერთო მიზნების მისაღწევად.

არასამთავრობო სექტორს მნიშვნელოვანი როლი მიუძღვის დემოკრატიის დაცვასა და განვითარებაში. საერთაშორისო თანამშრომლობისა თუ დონორების დახმარებით ახდენენ რესურსების მობილიზებას, რათა სოციალური და ფინანსური მდგრადობა შეინარჩუნონ. სექტორთაშორის თანამშრომლობა კოჰაბიტაციის, კონსენსუსის პოვნის და დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბების ერთ-ერთი წინაპირობაა. 2019 წელს გამოცემულ საქართველოს სამოქალაქო სექტორის შეფასების ანგარიშში

ნათქვამია, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის გამოწვევად რჩება კერძო სექტორთან თანამშრომლობა, შემდეგ კი – სამთავრობოსთან. არასამთავრობო სექტორს, ძირითადად, ურთიერთობა აქვს მედიასა და საერთაშორისო პარტნიორებთან, თუმცა ნაკლებად თანამშრომლობენ სხვა სამოქალაქო ჯგუფებთან. კერძო და სამოქალაქო სექტორებს შორის თანამშრომლობის ნაკლებობა განპირობებულია იმით, რომ, შესაძლოა, ამ ტიპის ურთიერთთანამშრომლობამ მათი რეპუტაცია შელახოს. ანგარიშში ნათქვამია, რომ ბიზნესსექტორის წარმომადგენლები არასამთავრობო სექტორს მიკერძოებულ სუბიექტებად მიიჩნევენ (კვაშილავა და სხვა 2019)

## სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონი

ზუგდიდის მერიას სხვადასხვა არასამთავრობო და კერძო სექტორთან მუშაობის კარგი გამოცდილება აქვს. ისინი არაერთ სოციალურ პროექტს ახორციელებენ უცხოელი დონორებისა თუ საელჩოების დახმარებით. ინიციატივის ავტორები სტრუქტურებში დასაქმებული ახალგაზრდები (25-35 წლის) არიან. ისინი სთავაზობენ სხვადასხვა სახის მომსახურებას ამა თუ იმ ასაკობრივი კატეგორიის საჭიროებიდან გამომდინარე

*„ახალგაზრდებს არ უნდათ პოლიტიკურ პარტიებთან აფილირება, რადგან შემდეგ არასამთავრობო სექტორში დასაქმების შანსები იკლებს“. რესპონდენტი, 34 წლის*

რაც შეეხება ახალგაზრდებზე ორიენტირებულ ინიციატივებს, ახალგაზრდული სათათბირო, რომელიც 14-29 წლის ასაკობრივ კატეგორიაზე მუშაობს, არაერთ ინიციატივას ახორციელებს, როგორც მერიის, ასევე საერთაშორისო დონორების დახმარებით. ასევე, ადგილობრივად მერია სთავაზობს ახალგაზრდებს თემის განვითარებისკენ მიმართული პროექტების განხორციელებას თანადაფინანსების პროგრამების გზით. მონაწილეებმა, აღნიშნეს, რომ სექტორთშორისი თანამშრომლობა პირად კონტაქტებზეა დამოკიდებული. ორგანიზაციები, რომლებიც მჭიდროდ იწყებენ თანამშრომლობას ადგილობრივ თვითმმართველობასთან, მიკერძოებულები და მათი საქმიანობის ნაკლებად კრიტიკული შემფასებლები ხდებიან.

## **იმერეთის რეგიონი**

იმერეთის რეგიონში სხვადასხვა სექტორებს (კერძო, სამთავრობო და სამოქალაქო) შორის თანამშრომლობა ხორციელდება სხვადასხვა საგანმანათლებლო ინიციატივის ფარგლებში, თუმცა უფრო ეფექტური თანამშრომლობისათვის არსებობს ბარიერები. ხშირია უცხოური დონორის დაფინანსებული პროექტების ფარგლებში თანამშრომლობის პრეცედენტები. ფოკუსჯგუფების მონაწილეების თქმით, ადგილობრივი თვითმმართველობა მზადაა, მოისმინოს ინიციატივა, თუმცა, პირადი კავშირით უფრო მარტივია თანამშრომლობა და შეთანხმების მიღწევა კონკრეტული საკითხის გარშემო. პრობლემურ საკითხად გამოიკვეთა ადგილობრივ თვითმმართველობაში მომუშავე კადრების ხშირი ცვლილება, რაც ართულებს ხანგრძლივად თანამშრომლობის შენარჩუნებას. კადრების ხშირი ცვლილება ასევე ნდობის მოპოვების პროცესს დროში ახანგრძლივებს. მონაწილეები აღნიშნავენ, რომ მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის რგოლებში საკმარისზე მეტი კადრია დასაქმებული, ხშირად დამოკიდებულება პასუხისმგებელი პირების მიმართ საქმისადმი გულგრილია.

*„უმეტესად ახალგაზრდებზე ორიენტირებულ ღონისძიებებში იგულისხმება გასართობი აქტივობები, რაც არ შეესაბამება ადგილობრივი ახალგაზრდების საჭიროებებს“, რესპონდენტი, 35 წლის*

არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, ხშირია მუნიციპალიტეტებს შორის თანამშრომლობის მაგალითები. ქუთაისისა და ბაღდათის მუნიციპალიტეტები წარმატებით თანამშრომლობენ და საერთო ინიციატივებსაც ახორციელებენ. რაც შეეხება არასამთავრობო სექტორის ადგილობრივ მუნიციპალიტეტთან თანამშრომლობას, ეს შემოიფარგლება საკონსულტაციო ტიპის შეხვედრებითა და საერთო ინიციატივებით.

## აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა

აჭარის რეგიონში, რესპონდენტებმა ინტერსექტორული თანამშრომლობის საკითხზე საუბრისას, ორი მიმართულება მიმოიხილეს – თანამშრომლობა სამოქალაქო და საჯარო სექტორს შორის და თანამშრომლობა კერძო სექტორსა და არასამთავრობო სექტორს შორის.

ინტერვიუებიდან ჩანს, რომ წლების განმავლობაში პროგრესი არის, თუმცა თანამშრომლობა ჯერ კიდევ არ არის ისეთი ეფექტური, რომელიც მეტად შეუწყობდა ხელს თემის განვითარებას. ზემოთ აღნიშნული თანამშრომლობის ორივე მიმართულებას საკუთარი თავისებურებები ახასიათებს. მაგალითად, სამოქალაქო სექტორის მოსაზრებით, სამთავრობო ინსტიტუტები არ არიან გახსნილნი განსხვავებული აზრისადმი და ოპონენტებად აღიქვამენ მათ. თუმცა, გამოცდილება განსხვავდება მუნიციპალიტეტების მიხედვით. სამთავრობო და არასამთავრობო სექტორების თანამშრომლობისას მნიშვნელოვან როლს ასრულებს პირადი კონტაქტები და ორგანიზაციის რეპუტაცია. მაგალითად, აჭარაში მოქმედი ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ ამ კონკრეტულ ორგანიზაციას საკმაოდ დიდი ძალაუფლება აქვს და შეუძლია ადგილობრივი ხელისუფლების გადაწყვეტილების მიღებაზე ზემოქმედება.

რესპონდენტთა ნაწილის აზრით, სამოქალაქო საზოგადოება არ პასუხობს ადგილობრივების საჭიროებებს და სუბიექტურ გადაწყვეტილებებს იღებს. საბოლოო ჯამში, ეს არასამთავრობო სექტორსა და საზოგადოებას შორის ნდობაზე უარყოფითად მოქმედებს.

*„არ ტარდება ადგილობრივი საჭიროებების კვლევა და ძირითადად უცხოური დონორების დაფინანსებული პროექტები ერთჯერადი, არამდგრადი ხასიათისაა“, რესპონდენტი, 22 წლის*

კერძო სექტორთან დაკავშირებით, საინტერესოა, აღინიშნოს, რომ თუკი კონკრეტულმა პირმა სამოქალაქო საზოგადოებიდან გადაინაცვლა ბიზნესსექტორში, მხოლოდ ამ შემთხვევაში გამოხატავს მხარდაჭერას არასამთავრობო სექტორის მიმართ; სხვა შემთხვევაში თანამშრომლობა, ფაქტობრივად, არ არსებობს.

ზოგადად, გამოიკვეთა ტენდენცია, რომ თანამშრომლობაზე საუბრისას, მნიშვნელოვანია კონკრეტული ორგანიზაციებისა და პიროვნებების რეპუტაცია და პირადი კავშირები. როგორც წესი, ახალ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის მაგალითები ნაკლებია, ვინაიდან სხვადასხვა სექტორს შორის ნდობა და სამუშაო გამოცდილება არ არის ჩამოყალიბებული. ასევე, უნდა აღინიშნოს რომ ნაკლებად წარმატებულია სხვა ქალაქებსა/ცენტრებსა და ადგილობრივ ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობა და საერთო პროექტების განხორციელება. ეს გამომწვეულია იქიდან, რომ ხშირად სხვა ქალაქების წარმომადგენლებმა არ იციან ადგილობრივი საჭიროებებისა და გამოწვევების შესახებ, შესაბამისად, პროექტები თავიდანვე არასათანადოდ იგეგმება და ხშირად მდგრადობის კომპონენტი აკლია.



## შიდა ქართლის რეგიონი

შიდა ქართლში ფოკუსკგუფის მონაწილეებმა სექტორთშორისი თანამშრომლობა მეტ-ნაკლებად დადებითად შეაფასეს, თუმცა ახსენეს, რომ ამ თანამშრომლობის მოტივი სხვადასხვა ტიპის სარგებლის მიღებაა. მათი თქმით, ხშირია ფაქტები, როდესაც თანამშრომლობა ფასადურია და, რეალურად, არ აინტერესებთ ერთმანეთის აზრი, რასაც, საბოლოოდ, არასახარბიელო შედეგამდე მივყავართ. მეორე უკიდურესობაა, როდესაც გარკვეულ საბჭოებში, რომლებიც დაკომპლექტებულია სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლებით, ნაკლებად ისმის ხოლმე კრიტიკული შეფასებები იმის გამო, რომ თითქოსდა სხვაგვარად პიროვნული ურთიერთობები შეიძლება გაფუჭდეს.

ადგილობრივად ახალგაზრდების წახალისება არ ხდება. მუშაობა განსაკუთრებით აქტიურდება წინასაარჩევნო პერიოდში. რეალურად კი ახალგაზრდების აზრს ნაკლებად ითვალისწინებენ, რაც, თავის მხრივ, ნიჰილისტური განწყობების გაძლიერებას იწვევს. ადგილობრივი ახალგაზრდების აზრით, არჩევნების შემდეგ არსებობს გარკვეული პერიოდი, როდესაც ხელისუფლება გარკვეულწილად ისმენს საზოგადოების აზრს, თუმცა ამ პერიოდის გასვლის შემდეგ, შორდება ხალხს და თავის დღის წესრიგს მიჰყვება. აქაც, ისევე როგორც სხვა რეგიონებში, წარმატებული თანამშრომლობის პროცესში ხაზი გაესვა პირად კავშირებს სხვადასხვა უწყებების წარმომადგენლებთან.

შიდა ქართლში გამოიყო მუნიციპალიტეტების ერთმანეთთან თანამშრომლობის საჭიროება და მნიშვნელობაც. ფოკუსკგუფის მონაწილეების აზრით, ერთი და იმავე რეგიონის მუნიციპალიტეტებს შორის აქტიური კომუნიკაცია და თანამშრომლობა გადამწყვეტია რეგიონის განვითარებისთვის.

მოქალაქის პასუხისმგებლობა, როგორც ფაქტორი, განსაკუთრებით აღინიშნა შიდა ქართლში ჩატარებულ ფოკუსკგუფში და ხაზი გაესვა იმას, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია სხვადასხვა საერთაშორისო დონორების მიერ საქართველოს დასახმარებლად გამოყოფილი რესურსების გააზრება და ამ ყველაფერში მონაწილეებისგან პასუხისმგებლობის შეგრძნება, რომ იყვნენ აქტიურები და მიღებული ცოდნა გაუზიარონ თემის წევრებს.

რაც შეეხება კერძო სექტორთან თანამშრომლობას, რესპონდენტების აზრით, ადგილობრივ ბიზნესთან თანამშრომლობა უფრო მარტივია, ვიდრე საჯარო უწყებებთან. თანამშრომლობის წინაპირობად, ახალგაზრდები ნდობას ასახელებენ, რომელიც, მათი თქმით, ამჟამად არ არის საკმარისად მყარი. შესაბამისად, თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით, სწორედ ნდობის აღდგენა-გაღრმავებისათვის მუშაობა არის საჭირო.

## ქვემო ქართლის რეგიონი

რუსთავის მუნიციპალიტეტის მაგალითით შეიძლება ითქვას, რომ მერია და კონკრეტულად ახალგაზრდული დეპარტამენტი გახსნილია სიახლეებისა და ინიციატივებისათვის. უკეთესი იქნება, თუ კერძო და საჯარო სექტორი სხვადასხვა ინიციატივების ფარგლებში მეტად ითანამშრომლებენ, საერთო პროექტებს დაგეგმავენ და განახორციელებენ. ასევე, მონაწილეების თქმით, მეტად უნდა მოხდეს მოსახლეობის ინფორმირება მიმდინარე თუ დაგეგმილი აქტივობების შესახებ სოციალური ქსელის მეშვეობით.

*„საჯარო დაწესებულებები მოსახლეობას ინფორმაციას მათთვის გასაგები ენით და შესაბამისი პლატფორმების საშუალებით არ აწვდის“; რესპონდენტი, 29 წლის*

მონაწილეების თქმით, ბოლო დროს გახშირდა კერძო სექტორის ჩართულობის შემთხვევები და მათი დაფინანსებით სხვადასხვა საერთო ინიციატივების განხორციელება. სამთავრობო და კერძო სექტორს შორის ხშირია სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო, რეკრეაციული თუ კულტურული ღონისძიების ფარგლებში თანამშრომლობა. რუსთავეში ახალგაზრდულ საკითხებზე მომუშავე ისეთი ორგანიზაციების სიმწირეა, რომლების მონაწილეობას იღებენ პოლიტიკის ფორმირებაში.

## დასკვნა

დღესდღეობით საქართველოში ახალგაზრდების შიდა მიგრაციის საკითხი გამოწვევად რჩება. ყოველწლიურად უფრო და უფრო მეტი ახალგაზრდა ტოვებს იძულებით რეგიონს სოციოლურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებისა თუ უკეთეს განათლების მიღების მიზნით.

სექტორებს შორის თანამშრომლობის კუთხით, სხვადასხვა რეგიონში განსხვავებული გამოცდილება არსებობს. ზოგიერთ მათგანში უფრო მეტად არიან სექტორები ერთმანეთის ინიციატივების მიმართ ღია, ზოგ რეგიონში კი თანამშრომლობის ძალიან ცოტა მაგალითი არსებობს. საერთო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ ადგილობრივ დონეზე მნიშვნელოვანია თანამშრომლობითი პრაქტიკის განვითარება და სხვადასხვა სექტორის მოსაზრებების მეტად გათვალისწინება გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რაშიც თითოეულმა სექტორმა თავისი წვლილი უნდა შეიტანოს. მნიშვნელოვანია, რომ პირადი დაპირისპირება არ ახდენდეს გავლენას თანამშრომლობაზე და თემისთვის კონკრეტული პრობლემების მოგვარების პროცესში პერსონალური დამოკიდებულებები უკანა პლანზე უნდა გადაიწიოს.

რეგიონული განვითარების პოლიტიკა ორიენტირებული უნდა იყოს თანაბარზომიერი და მდგრადი განვითარებისა და შესაძლებლობების უზრუნველყოფაზე, რომელიც განსაზღვრავს მოსახლეობის სოციალური, ეკონომიკური და რესურსული პოტენციალის გამოყენებით მათი საჭიროებების დაკმაყოფილებას და ცხოვრების დონის ამაღლებას.

როგორც რეგიონული განვითარების სტრატეგიაშია მითითებული, მნიშვნელოვანია ახალგაზრდებისთვის არსებული ბუნებრივი, მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების ეფექტურად გამოყენება, კერძო სექტორის მხრიდან ინვესტიციების წახალისების, სოციალური და ეკონომიკური განვითარების სტიმულირებით, ინფრასტრუქტურის განვითარების გზით.

## რეკომენდაციები

### ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის

▶ ახალგაზრდების ჩართულობის ხელშეწყობა – გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფა შესაბამისი მექანიზმების შემუშავების გზით. მაგალითისთვის, ახალგაზრდული სივრცეების მოწყობა/განვითარება და მათი რესურსებით უზრუნველყოფა, ახალგაზრდული ბიუჯეტის გაზრდა მუნიციპალიტეტებში, საკრებულოს სხდომებსა და საჯარო განხილვებში მათი მონაწილეობის წახალისება.

▶ განათლებასა და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა კომუნიკაციის სწორი არხების – შესაბამისი ლექსიკის, მიდგომის, პლატფორმის გამოყენებით. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების მეტი უშუალო კომუნიკაცია ახალგაზრდებთან.

- ▶ ინფრასტრუქტურის განვითარება – გზებისა და მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება, განსაკუთრებით მაღალმთიან რეგიონებში. ინტერნეტზე ხელმისაწვდომობის გაზრდა მოწყვლადი ახალგაზრდებისთვის, თუნდაც ერთჯერადი სუბსიდირების პროგრამის გზით.
- ▶ გარდა რეკრეაციული/სპორტული აქტივობებისა, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, მეტი საგანმანათლებლო-შემეცნებითი ღონისძიებების ორგანიზება ადგილობრივ დონეზე.
- ▶ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან და კერძო სექტორთან თანამშრომლობის გაღრმავება – ფავორიტიზმის შესუსტება; სხვა სექტორის კონკურენტად აღქმის დამოკიდებულების შეცვლა მეტი საერთო ინიციატივების განხორციელების გზით. ახალგაზრდებთან დაკავშირებით საერთო აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება.
- ▶ წარმატებული ახალგაზრდებისთვის ადგილობრივად მომხიბვლელი სამუშაო პირობების შეთავაზება, რათა მათ არ დასჭირდეთ რეგიონის დატოვება ან ჰქონდეთ რეგიონში დაბრუნების მოტივაცია.
- ▶ ერთი რეგიონის მუნიციპალიტეტებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება და საერთო ინიციატივების დაგეგმვა და განხორციელება.
- ▶ რეგიონებს შორის საუკეთესო გამოცდილებების გაზიარების პლატფორმის შექმნა და პერიოდულად საერთო ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.
- ▶ შიდა მიგრაციის სტატისტიკის წარმოება ასაკობრივ ჭრილში, მიგრაციის მართვის შიდა სტრატეგიის მექანიზმის შექმნა, რომელიც ორიენტირებული იქნება რეგიონულ განვითარებაზე და მიგრაციის შემცირებაზე.

## **სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის**

- ▶ მდგრადი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება – ერთჯერადი აქტივობების ნაცვლად ისეთი პროგრამების შემუშავება, რომლებიც ორიენტირებული იქნება გრძელვადიან შედეგებზე.
- ▶ რეგიონში მცხოვრები NEET (ახალგაზრდები, რომლებიც არ იღებენ განათლებას, არ არიან დასაქმებულები და არ არიან ჩართული არაფორმალურ განათლებაში) ახალგაზრდების მეტად ჩართვა აქტივობებში და მათი მაქსიმალურად დაინტერესება სხვადასხვა მიმართულებით. მათთვის პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული განვითარების საკონსულტაციო შეხვედრების ორგანიზება.
- ▶ მუნიციპალიტეტში მოქმედი სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება და ახალგაზრდების განვითარებაზე ორიენტირებული საერთო ინიციატივების დაგეგმვა და განხორციელება.
- ▶ აპოლიტიკური, აპარტიული და ნეიტრალური პოზიციების მქონე სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების განვითარება, რომლებთანაც აფილირება ახალგაზრდებისთვის პოლიტიკური იარაღების მიწოდებას არ გამოიწვევს .

- ▶ კვლევაზე დაფუძნებული რეალური საჭიროებების გათვალისწინებით პროგრამების შემუშავება, რომელთა დაგეგმვაშიც ჩართული იქნება არა მხოლოდ „ცენტრი“, არამედ ადგილობრივი ორგანიზაციები და უშუალოდ ახალგაზრდები.
- ▶ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის რეგიონული პლატფორმის ჩამოყალიბება რესურსების კონსოლიდირების მიზნით.

## **კერძო სექტორისთვის**

- ▶ ადგილობრივ მუნიციპალიტეტსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან თანამშრომლობით ანაზღაურებადი სტაჟირების პროგრამების შემუშავება და დასაქმების ხელშეწყობა.
- ▶ ადგილობრივი ბიზნესების მხრიდან განათლებას, დასაქმებასა და სწავლებას მოკლებულ (ე.წ. NEET) ახალგაზრდებზე მორგებული პროგრამების შემუშავება, რომლებიც მათ დაეხმარებათ სხვადასხვა სფეროში გამოცდილების მიღებაში.
- ▶ ადგილობრივი ახალგაზრდა მეწარმეების ხელშეწყობა: ტრენინგების ორგანიზება თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გაღრმავების მიზნით.
- ▶ სოციალური პასუხისმგებლობის გაძლიერება: ადგილობრივი ახალგაზრდების პროფესიულ, საგანმანათლებლო, სპორტულ და კულტურულ განვითარებაზე ორიენტირებული ღონისძიებების/აქტივობების ფინანსური ხელშეწყობა.
- ▶ კვალიფიციური ადგილობრივი ახალგაზრდებისთვის მისაღები სამუშაო პირობების შეთავაზება, რომ მათ არ მოუხდეთ რეგიონის დატოვება ან გაუჩნდეთ უკან დაბრუნების სურვილი.
- ▶ რეგიონში კარგი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტებისთვის სასტიპენდიო ფონდის შექმნა, რომელიც მათ ადგილობრივ უნივერსიტეტებში ჩაბარებას წაახალისებს.

## **ღონორებისთვის**

- ▶ საჭიროებების კვლევის სიღრმისეულად ჩატარება ადგილობრივ დონეზე, როგორც წინა მოსამზადებელი ეტაპი, სანამ კონკრეტული საგრანტო პროექტის შეთავაზება მოხდება სამთავრობო თუ არასამთავრობო სექტორისთვის. შედეგად, რეგიონის კონტექსტისა და საჭიროებების გათვალისწინებით სწორად განისაზღვრება პრიორიტეტული თემები.
- ▶ ჩატარებული აქტივობების ხარისხის კონტროლი – არა მხოლოდ ღონისძიებებისა და ბენეფიციარების რაოდენობაზე ფოკუსირება, არამედ მდგრად შედეგზე ორიენტირება, რაც გულისხმობს რეალური პრობლემების გადაჭრას;
- ▶ რეგიონული ცენტრებიდან მივლინებული ორგანიზაციების ნაცვლად, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების გაძლიერება და მათი ფინანსური რესურსით უზრუნველყოფა ინიციატივების განხორციელების მიზნით.

- ბეჟანიშვილი ა., ზაალიშვილი ლ., მაჭარაშვილი ლ.; ჩხეიძე შ., ხურციძე ს. 2017, „სამოქალაქო აქტივიზმის მნიშვნელობა საქართველოს სტუდენტებისათვის“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ხელმისაწვდომია: [https://cure.erasmus-plus.org.il/plugin-file.php/2716/mod\\_resource/content/2/Students%20Activism%20in%20Georgia\\_Research\\_report\\_GEO.pdf](https://cure.erasmus-plus.org.il/plugin-file.php/2716/mod_resource/content/2/Students%20Activism%20in%20Georgia_Research_report_GEO.pdf) ბოლოს ნანახია: 21 ნოემბერი, 2022.
- კვაშილავა ბ., ბარქაია ზ., გოგილაშვილი ხ. 2019, „საქართველოს სამოქალაქო სექტორის შეფასება“, აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის (EWMI) სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისა და მოქალაქეების ჩართულობის პროექტი (ACCESS) ხელმისაწვდომია: <https://ewmi-activism.org/wp-content/uploads/2020/01/საქართველოს-სამოქალაქო-სექტორის-შეფასება-2019.pdf> ბოლოს ნანახია: 21 ნოემბერი, 2022.
- მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, 1998 „მიგრაციის ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი“, ხელმისაწვდომია: <https://migration.commission.ge/files/glosaary.pdf> ბოლოს ნანახია: 21 ნოემბერი, 2022.
- მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია 2019, „საქართველოს 2019 წლის მიგრაციის პროფილი“, ხელმისაწვდომია: [https://migration.commission.ge/files/mp19\\_web3.pdf](https://migration.commission.ge/files/mp19_web3.pdf) ბოლოს ნანახია: 21 ნოემბერი, 2022.
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2022, „მოსახლეობის რიცხოვნობა რეგიონებისა და თვითმმართველი ერთეულების მიხედვით“, ხელმისაწვდომია: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/41/mosakhleoba> ბოლოს ნანახია: 21 ნოემბერი, 2022.
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2022, „ქალაქის და დაბების მოსახლეობის რიცხოვნობა“, ხელმისაწვდომია: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/41/mosakhleoba> ბოლოს ნანახია: 21 ნოემბერი, 2022.
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2022, „სამუშაო ძალის კვლევა“, ხელმისაწვდომია: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/683/dasakmeba-umushevropa> ბოლოს ნანახია: 21 ნოემბერი, 2022.
- საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2022, „უმუშევრობის დონე რეგიონების მიხედვით“, ხელმისაწვდომია: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/683/dasakmeba-umushevropa> ბოლოს ნანახია: 21 ნოემბერი, 2022.
- ფრიდრიხ-ებერტის ფონდი, 2017, „თაობა გარდამავალ პერიოდში, ახალგაზრდობის კვლევა 2016 - საქართველო“, ხელმისაწვდომია: <https://library.fes.de/pdf-files/bueros/georgien/13151-20170131.pdf> ბოლოს ნანახია: 21 ნოემბერი, 2022.
- MRDI, 2022, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, „საქართველოს 2018-2021 რეგიონული განვითარების პროგრამა“, ხელმისაწვდომია: <https://mrdi.gov.ge/pdf/6304b8317043c.pdf> / რგპ-ის %20 განხორციელების%202018-2021%20წლების%20კონსოლიდირებული%20ანგარიში. pdf ბოლოს ნანახია: 21 ნოემბერი, 2022.